ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2720765

ნომერი: AR1422404

თარიღი : 14.07.2016

გაცემის თარიღი : 19.07.2016

გაცნობის თარიღი : 20.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კ. ჩაჩავა , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ხარშილაძე პ/ნ 01009021035
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 58 ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

მოგახსენებთ რომ აღნიშნულ ფასადზე სამსახურის მიერ 16.04.2015წ. №1841414 გადაწყვეტილებით გაცემულია თანხმობა დროებითი სავენტილაციო მილების მოწყობასთან დაკავშირებით, შესაბამისად სამსახურისთვის გაურკვეველია, საპროექტო სარეკლამო კონსტრუქციების განთავსება ხდება აღნისნულ სავენტილაციო მილებზე თუ ხდება მილების დემონტაჟი, არნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახეთ მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში,

ასევე გაითვალისწინეთ თანახმად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებისა, განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს; აღნიშნულის გათვალისწინებიტ დაკორექტირდეს ფოტომონტაჟი.

აქვე მოგახსენებთ რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა სს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი, რომლის დირექტორიც სამეწარმეო რეესტრის მიხედვით არის ლაშა ბაზაძე. ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ ირაკლი ხარშილაძემ. სამსახურისთვის გაუგებარია თქვენი უფლებამოსილება. საჭიროა წარმოდგენილ იქნას დირექტორის მინდობილობა გაცემული თქვენს საკითხზე ან აღნიშნული პიროვნება დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.